სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 12

2017 წ. "19" 10

ქ.თბილისი

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 10 ივლისის №43 გადაწყვეტილებისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28[7] მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი..
2. სააპელაციო საბჭოს 2017 წლის 19 ოქტომბრის №6 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
დავით კახნიაშვილი